

სასრული

ქრონიკული
გინგლივითი

საერთაშორისო გაზეთი გაეიცა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 10 ივნისი 1996 № 45 (270) ფასი 30 თეთრი

კარბად დაცდილი ცუდი დასაწყისი

06 ივნისი
საქართველო

ზურაბ ფოცხვერია, ლავით კაპაბლაძე
ლონდონიდან

- | | |
|---|--------------------------|
| 1. სიმინი | 1. პასკოლი |
| 2. გნევილი | 3. კენტინი |
| 3. პირი | 4. ენოხი |
| 4. იმბი | 15. ვეა |
| 5. ადამი | 13. ფანო |
| 6. საუთვიტი | 5. გაივრი |
| | (16 კოლერი 69) |
| 8. გეტეონი | 10. სფორცა |
| (7 პლავი 76) | |
| 9. შირი | 17. ფოგელი |
| 10. შერევი | 9. გრასი |
| (14 ბარში 69) | |
| 11. ანდერტონი | 14. თურქილმაზი |
| 17. მაქსანაზი | 21. ბონევი |
| (20 სტონი 69) | (11 შაუზი) |
| 18. შირი | (23), 11 თურქილმაზი (87) |
| გაფრთხილება: გ. ნევილი, ფოგელი, კენტინი, ადამი, გრასი, ვეა. | |
| შავი: რ. დიას ვეა (ესპანეთი) | |

შეველო, თავისუფალი დარტმის დანიშნავს დასაწყისად. როგორც ჩანს, ამავე აზრისა არის ინგლისელი მწერელი ტერი ვენი-ბლუკი, რომლის თქმით მსაჯრე მტრისმტედ მკაცრად მოექცა გუნდს.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: თუ ტურნირის მასპინძლებს ინგლისის ნაკრების 30 წლის წინანდელი წარმატების გამოვრება სურთ, მათ მკვეთრად უნდა უმატონ თამაშს. მარტო იმის იმედად ვფიქრობ, რომ ხარისხობრივად არც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი მატჩი ვარგულად, მათ ნამდვილად არ გამოადგებათ.

და რაკი 1966-სა და 1996-ს შორის არსებულ პარალელურ ვსაუბრობთ, ბარე ერთსაც ვიტყვი: 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი პირველი იყო, რომელზეც საქართველოს სპორტული ჟურნალისტები — მიხეილ კაკაბაძე, ნოდარ გუგუშვილი და მიხეილ ხარტაიანი — იყვნენ აკრედიტებულნი. წლებიანდელი ვეროის ჩემპიონატი კი პირველია, რომელზეც აკრედიტებული ვართ თავისუფალი საქართველოს სპორტული პრესის წარმომადგენლები.

თუმცა, საეჭვოა, ეს ვარაუდი ინგლისელებს ოქროს მედლების მოპოვებაში დაეხმაროს.

შვეიცარიის ნაკრების მწვეთნელმა არტურ ჟორემ კი ვანაცხადა, რომ მის გუნდს შეუძლო ინგლისელთა დამარცხება: „ინგლისმა პირველ ტაიმში კარგად ითამაშა, მაგრამ მეორე ტაიმში ველოდით და ვიღივრებოდით უნდა გაგვეტანა. მოსაგებად საკმაოდ ბევრი ვაგი-

სახალსი ფეხები

დანია
საქართველო

ზურაბ მიკვლია,
დავით მჭედლიძევილი
შეფილდიდან

- | | |
|---|-------------------|
| 1. შპიხელი | 1. ბაია |
| 2. პედევი | 2. კოუტუ |
| 3. რიპერი | 13. დიმაზი |
| 5. ლ. პოტი | 16. პედევი |
| 14. რიხაგერი | 3. პულინიუ |
| | 4. ოხანუ |
| 7. სტინ-ნილსენი | (18 ფოლია 36) |
| 8. ტომანი | 10. რუი კოშტა |
| (12. პესნიკი 81) | 19. სოუზა |
| 10. 8. ლაუდრუმი | 20. იგუ |
| 13. ლანტინი | (15 დომინგუზი 61) |
| (18 ვლფორტი 90) | 8. პინტუ |
| 9. ბეკი | 9. სა პინტუ |
| 11. 8. ლაუდრუმი | |
| 10. 8. ლაუდრუმი (21), 11. სა პინტუ (52) | |
- გაფრთხილება: პედევი, ნილსენი, ოხანუ, პედევი, სა პინტუ, ბეკი, რუი კოშტა, პინტუ შავი: 8. ვან დერ ენდე (პოლანდია)

„სარბილის“ რჩეული

ამ შეხვედრაში რამდენიმე მოთამაშემ მეტ-ნაკლებად თანაბრად ითამაშა. მშვენივრად ირვებოდნენ რუი კოშტა თუ სა პინტუ, ფოლია თუ ბაია, შპიხელი თუ ბრიან ლაუდრუმი. ჩვენ მათ შორის დანიელთა მეკარის არჩევა გადავწყვიტეთ და ამით ჩვენნი აზრი „მასტერ“ კარდის შემფასებელთა აზრს დაემთხვა. სხვაობა მხოლოდ ერთია: „მასტერ“-კარდისგან განსხვავებით ჯერჯერობით „სარბილის“ პეტერ შპიხელს ნაწი გირვანქას ვერ გადაუხდის, ისევე, როგორც სხვა მატჩების რჩეულებს. თანაც, გამოსვლაზე ერთი-ორი ნერვილმანი შეცდომა მაინც დაუშვა და...


ისე კი, „მასტერ“-კარდის რჩეულნი სხვა თამაშებში იყვნენ ალან შირერი, ხრისტო სტიოჩკოვი და მათიას ზამერი.

ერთი პირობა, ეჭვი შეგვეპარა, მართლა შევიღებ ვიყავით, თუ დანიის რომელიმე ქალაქში ეს თამაშამდე იყო, როდესაც ქუჩები დანიელთა მიერ ოკუპირებულს ჰგავდა. ვიფიქრეთ, პორტუგალიელებს, ფაქტობრივად, სტუმრად უწევთ თამაში, მაგრამ მივედით სტადიონზე და ნურას უკაცრავად, სამხრეთელები კარგა ბლომად დაგვიხვდნენ. ნეტავ სად იყვნენ ადრე მიმალულნი?

თამაშამდე საინტერესო კიდევ აი, რა იყო — ბრიან ლაუდრუმ ინტერვიუში ვანაცხადა, ჩვენს ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე ხორვატია და პორტუგალია ვაპირებო, რასაც პორტუგალიელთა მწვეთნელი ოლივიერა ასე გამოეპასუხა — ვიცოდი, რომ ბრიანი ჯგუფიანი ბიჭი იყო.

საკუთრივ თამაში, დავეთანხმებით, უინტერესო არ იყო. ბევრი სახალისო რამ მოხდა: ფინტი, პასი, დარტემა, ორთაბრძოლა, მეკარის ხსარტი რეაქცია თუ სხვა. მეტოქეებმა თავი არ დაზოგეს და მთელი ძალ-ღონე შეადიეს შეხვედრას. საინტერესო ამბები, უპირატესად, პირველი გოლის მერე დატრიალდა. ეს კი 21-ე წუთზე მოხდა, როდესაც ბაიამ ბურთის მოგერიება განიზრახა და დარტემა, მაგრამ საჯარიმოში მდგომ მეტოქის ფორვარდს ბეკს მოარტყა თავში. ბეკის თავიდან ბურთი ვოლკიპერისგან მარჯვენა მხარეს ბრიან ლაუდრუმს მიუვარდა, მან კი ეფექტური დარტემათი გაიტანა. ამას, შურისმძიებელ პორტუგალიელთა აქტიურობა მოჰყვა. სა პინტუმ საჯარიმოში მარჯვნიდან ფიგუს პასი მიიღო, შემობრუნებით დარტემა, მაგრამ აცილა. შემდეგ რუი კოშტამ მარჯვნიდან საუცხოო დრამატიზმი გაიბრძინა და ჩააწოდა, საჯარიმოში კი ბურთმა სამი დარტემაიდან დანიელთა კარში შესულა. ერთხელაც არ ისურვა. შემდეგ სა პინტუმ ეშინიანდო მონატრად ორი მეტოქე, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე პეტერ შპიხელი ჩაუწვა და კარი იხსნა. ამას დანიელეებმა კონტრშეტევა მოაყოლეს, მიქელ ლაუდრუმს შეეძლო დარტემა, მაგრამ ვერ მოახერხა. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი რუი კოშტამ ვერ გაიტანა.

მეორე ნახევარში დანიამ ბურთის ვათამაშებით ტემპის დაგდება სცადა, მაგრამ არ გამოვიდა. თამაში ისევ აჩქარდა, 52-ე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა: ფოლიამ მარცხნივ სწრაფად გაიბრძინა და ჩააწოდა, იქ კი მცველთა ზურგსუკან მიმალული სა პინტუ გამოხტა და თაურით შეავლო. შემდეგ ბრიანი შეივანეს თანაგუნდელებმა საჯარიმოში, მაგრამ ბაიამ ფეხით მოიგერია ცოტა ხანში ტომსენს თავზე დაასვეს მარჯვ-




შერიანგეში კენტინისა და ენოხის გარემოცვაში



შერიანგეში კენტინისა და ენოხის გარემოცვაში

„სარბილის“ რჩეული

აქ საუბარი იმაზე არაა, ზოგადად ვინ უფრო კარგი ფეხბურთელია. უნდა იქნებოდა, გადავწყვიტეთ ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში მატჩის რჩეულის „სარბილის“ ვარიანტი შემოვთავაზოთ. ზოგი იქნებ დაგვეთანხმოს, ზოგიც ცხადია სხვა აზრისა იქნება. ბოლოსდაბოლოს ფეხბურთის ხომ კამათის წევარია. ინგლის — შვეიცარიის თამაშის რჩეულია ჩვენ „გრასპაპერის“ ფეხბურთელი, თურქული ნარმოზობის შვეიცარიელი და იმავდროულად ბონენსენი ქუბილია თურქილმაზი გვეჩვენა. განა იმითომ, რომ გუნდში მობილურია, მაქსანაზიზე სხარტი და ტექნიკური ან შაპუზაზე გამოცდილი, არამედ იმიტომ, რომ შეძლებს დაგვიჯარა, ორი ტაიმის განმავლობაში მარტო თუ თანაგუნდელებთან ერთად, ყველა ღონეს ხმარობდა ინგლისელთა კარის დასაღაშქრად. შვეიცარიელთა მიერ შექმნილ სახიფათო მომენტთა უმეტესობა, მისი გარჯის შედეგი გახლდათ. იმიტომაც გამოვიყვით.



შერიანგეში კენტინისა და ენოხის გარემოცვაში

30 წლის წინანდელ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ინგლისელთა ტრიუმფით დასრულდა, ფეხბურთის სამშობლოში მ იენი-სამდე ბევრი ინსერებდა. მრავალი თარიღი და ის ვარაუდობა, რომ საფეხბურთო ზემოთ იმავე სტადიონზე იმართება, ინგლისელებს რაციონალურად ფიქრად აუხსნელი, მაგრამ ამკარად შესაძლებელი იქნებოდა აღვსებდა. ევროპის X ჩემპიონატის ვახსენს თამაშის შედეგმა ფინალურ ტურნირზე აკრედიტებულ ჟურნალისტებსაც და თავად ინგლისელ ქომაგებსაც ერთხელ კიდევ ვაგვახსენა 1966 წელი. მაშინ, ჩემპიონატის პირველ მატჩში, მასპინძლებმა მეტად უღიმღამო თამაში გვიჩვენეს და ვერაფერი მოუხერხეს ურუგვაის ასევე საკმაოდ უფერულ ნაკრებს. მაგრამ იმ 0:0-ს გამარჯვებები და მსოფლიო ჩემპიონატი ტიტული მოჰყვა ამიტომ ცხადია, ინგლისელებს არაფერი ექნებათ საწინააღმდეგო, მოელონები ამჯერადაც ისევე ვანეთარდეს, როგორც ამ სამი ათეული წლის წინათ ვანივარდა. მაგრამ შვეიცარიის ერთხელ გუნდთან ჩატარებული შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, მასპინძლებს ძალიან გაუჭირდებათ მასპინძელი წარმატების გამოვრება.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელებმა, რომელთა გამარჯვებაში ცოტა ვინმეს თუ ვარაუდობდა ეჭვი, მეტ-ნაკლებად მხოლოდ მატჩის დებიუტში გაუპარტლეს იმედი თავის გულშემატკივარს. შვეიცარიელთა კარში 23-ე წუთზე გატანილი ბურთი მეტოქის მცველთა უხეში შეცდომის შედეგი უფრო იყო, ვიდრე თამაშის ლოგიკიდან გამომდინარე გოლი.

მატჩის ლოგიკიდან შვეიცარიელთა საბახუბო ბურთი უფრო გამოდინარეობდა, მუხედავად იმისა, რომ სტუმრებს იგი უშუალოდ თამაშიდან არ შეუვლიათ. სანამ ესაწინააღმდეგო არ იქნებოდა, მანუელ დიას ვეა დედა სიმინის კარში პენალტს დანიშნავდა, ინგლისელებს არაერთხელ გადაურჩნენ ხიფათს, ერთ განხილვში კი ისინი ზედა ძელმა იხსნა.

II-მეტრიათიან დაკავშირებით თვით ინგლისელ ფეხბურთელებს როგორც ჰემპსტერ ჯენტლმენებს შეჰყვებით, არავითარი პროტესტი არ განუცხადებიათ. მაგრამ მატჩის შემდეგ დიას ვეას გადაწყვეტილება ცხარე კამათის საგნად იქცა.

მართალია, არაკენ უარყოფდა, რომ სტიუარტ პირს ბურთი ხელზე მოხვდა (და თანაც საკუთარ საჯარიმოში), მაგრამ „უემბლის“ პრესცენტრში შეკრებილი ჟურნალისტები მან იმედი განაცხადეს. ერთნი მსაჯის ამარტლებდნენ, მეორენი კი მას საფეხბურთო წესების მეტისმეტად პრაგმატულ ინტერპრეტაციას ადანაშაულებდნენ. ამ უკანასკნელთა აზრით, პირსმა ინსტინქტურად აიქნია ხელი, რათა თავი დაეცვა ბურთისაგან, რომელიც სახეში ხვდებოდა. შესაძლოა, მართლაც ასე იყო, მაგრამ არა ვგვინია, ეს საქმის ვითარებას ცვლიდეს. ყოველ შემთხვევაში, დიას ვეას გადაწყვეტილების სისწორეში არც ერთ ჩვენგანს არ შეგპარვია ეჭვი.

აკი მაგრამ, რას ელოდით მსაჯისაგან თქვენი აზრით, იგი პირსთან უნდა მისულიყო და მისთვის ეკითხა, საკუთარ საჯარიმოში რატომ იქნე ხელმისი? — კითხვა თავის აღმოფხვრელ კოლეგა-თანამშაულებს „სანდი თამისის“ მიმობილდებოდა, დევიდ უოლმსი, და ამ შეკითხვას ჩვენც ვუერთდებით. თავად სტიუარტ პირსმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელთ განხრახ არ მითამაშა და მსაჯს



შერიანგეში კენტინისა და ენოხის გარემოცვაში

ნიდან ბურთი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იყო ლაუდრუმის თითოშეხებაანი კომბინაცია, ბრიანმა დარტემა რომ ვერ მოასწრო და საპირისპირო კართან ტავარუშის შემობრუნებით დარტემული და აცილებული.


მატჩის შემდეგ პეტერ შპიხელმა ჟურნალისტებს ვეითხრა, გოლი ჩემი ბრალი არ იყო, დაცვამ „ჩაიხიწა“. მისი თქმით, 11-ის მერე შეიმჩნეოდა მიღწეული პორტუგალიელთა კმაყოფილება. მიქელ ლაუდრუმს კი მეტოქე ძლიერ მოეწონა. რამდენი მარტინიესი, ჩემს საწყალ ფეხებს ჰკითხეთო. უფროსმა ლაუდრუმმა სამომავლო ტაქტიკათა ცვლის საჭიროებაზეც თქვა, სხვადასხვა მეტოქეს ერთნაირად ვერ ვეთამაშებოდა.


პორტუგალიელთა მწვეთნელი ოლივიერა თამაშით კმაყოფილი იყო! „ახე თუ ვითამაშეთ, ვატყობ, შორს წაყავით. მართალია, მეორე ტაიმში დავიდალეთ, მაგრამ საპანიკო არაფერია. ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულნი“ — თქვა მან.

თამაში რომ მეტად მძიმე იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ დანიელ ფეხბურთელებს შეცვლები უთხოვიათ, თორემ რიქარდ მილერ-ნილსენი რამეს შეცვლას არც ფიქრობდა.

სოჭელის ტრიუმფი პარიზში

გუშინ, „როლან გაროსის“ კორტებზე, საფრანგეთის დია ჩემპიონატის ფინალში სოჭელმა რუსმა ვეპნი კაფელინიუმმა 7:6, 7:5, 7:6 დაამარცხა გერმანელი მიხაელ შტიხი და პირველად გახდა „დიდი სლემის“ ტურნირის გამარჯვებული.





7 ივნისი, ჩიკაგო. როდმანის მორიგი მოხსნა

მოგება რეპორტის გაპროექტი

ფინალი

ჩიკაგო — სიეტლი 2:0

7 ივნისი, ჩიკაგო. II მატჩი ჩიკაგო ბულზი — სიეტლ სუპერსონიქსი 92:88 (23:27, 23:18, 30:20, 16:23)

ჩიკაგო: პარპერი (12), ჯორდანი (29), პიპენი (21), როდმანი (10), ლონგლი (2); კუკონი (11), ვენინგტონი, ბიუპლერი (2), სელი, კერი (3), ბრაუნი (2)

სიეტლი: პეიტონი (13), პოკინი (16), შრეგზი (15), კემფი (29), ჯონსონი (2); პერკინი (13), ესკო, ვინგეტი, ბრიკოვსკი, სნოუ

„დენის როდმანი მისთვის ჩვეული, მაგრამ მატჩისთვის უნიშნულად უფრო მეტი რამ გააკეთა — ამით მან გუნდის დახმარების გზა იპოვა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბულზის“ მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა

დამთავრებამდე 10 წამით ადრე, როცა „ჩიკაგო“ 91:88 იგებდა, შერეკლმა როდმანმა თანაგუნდელი პიპენის აცდენილი ბურთი მოხსნა, შემდეგ სადარო მოუგო სემ პერკინსს და სიეტლამდე 3,7 წამით ადრე ორიდან ერთი საჯარო ჩაგდო, რითაც თავისიანებს გამარჯვება გაუზარდა

როდმანი 20 ბურთი მოხსნა, აქედან 11 შეტევით. ეს შედეგი გახლავთ ნება ფინალის რეკორდის გამორეკორდა. 1979 წლის 27 მაისს იგივე გააკეთა „კაპიტანმა ბულდოგის“ ჯორჯიკმა ილიან პიპენმა, მაშინაც „სიეტლის“ წინააღმდეგ შესაბამისი შედეგით, როცა „ჩიკაგომ“ შესვენებისთვის მიღებული ერთ-ერთი უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა, როდმანი 8 ქულა და 10 მინუტი მიიღო. პოდა, რა გასაკვირია, დენის ფინალის მთელი მატჩის უფერფრესეს მოაზარდებდა რომ დაასახელეს

პირველ ტაიმში მეტოქეებმა 15-ჯერ დაუთმეს ერთმანეთს მიდრეკობა. ორივეს დაცვა იმდენად მძლავრად თამაშობდა, რომ ჩაგდების პროცენტი დაბალი იყო: 41,5 — „სიეტლი“, 42,9 — „ბულზი“. პირველ მეოთხედში შონ კემფმა აინჯეტა — 10 ქულა და 5 მინუტი. დამთავრებამდე 2,57 წუთით ადრე კი მეორე პერსონალური მიდრეკობა და დასასვენებლად წავიდა. გერი პეიტონმა ჩაჭრას ჩატენა დაურო, პერკინსმა ორი კაუჭი ჩააგდო და „სიეტლმა“ მოსაკეთი 8:1, მეოთხედში კი 27:23 მოიგო. მეორე მეოთხედში სტუმრებმა ორჯერ მიადნეს ხუთქულიანი უპირატესობა, ბოლოჯერ — 31:26. გაიმარჯვნეს მეტოქეთა უკანასკნელმა — ჩიკაგოელმა რომ პარპერმა და სიეტლელმა პერსი პოკინმა ამ მეოთხედში, შესაბამისად, 9 და 11 ქულა დააგროვეს. პარპერმა საშუალოდ ჩააგდო, მეორე კი პიპენს ჩაატენინა — „ჩიკაგო“ პირველ ნახევარში უდიდესი სხვაობით დამარჯვდა — 35:31. სამაგიეროდ, „სიეტლის“ მომდევნო 13 ქულა ორმა, პოკინმა და კემფმა გააკეთეს და ახლა უკვე სტუმრები დანიშნულდნენ — 44:41. „ჩიკაგოს“ ისევ და ისევ მაიკლ ჯორდანი უმჯობესა, მარცხენა ფრთიდან სამქულიანი ჩააგდო და მისმა გუნდმა ტაიმი 46:45 მოიგო.

შესაბამისად მეოთხედის სამწუთიანი მონაკვეთი „ბულზმა“ 13:3 მოიგო და 76:55 დანიშნა. ამ ხანში ტონი კუკონმა ორი სამქულიანი ჩააგდო. როგორც ვიკიკა, სწორედ ამ ხანში წუთი დაღუპა „სიეტლი“ — მან აქ დაკარგა ორი ამოქანება ვერ შესძლო. მანქანა ვერც ბოლო წუთებზე შონ კემფის ორმა სამქულიანმა უშველა და ვერც იმან, რომ „ჩიკაგომ“ მეოთხედში მეოთხედში 16-დან 12 სწორა ააცილა. ჯორჯ კარლმა, „სიეტლის“ მწვრთნელმა თქვა: „თუ „ჩიკაგოს“ დამარცხება გინდა, 48 წუთს შეუტყობებოდა, ინტენსიურად უნდა ითამაშო. ჩვენ კი, ახლაც და წინა მატჩშიც, ამგვარად მოლოდინ 43 ან 44 წუთს ვითამაშეთ“

მაიკლ ჯორდანი მთლად მკაფიო იყო არ იყო: „არა ვარ დარწმუნებული, რომ ამგვარი თამაშით „სიეტლის“ სიეტლში დავამარცხებთ“

შესაბამისად მატჩი ლამის გაიმართა.

„ზვავი“ მოყვდა

დენიკის „კოლორადო ავალანში“ (ზვავი) ყინულის ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) უმთავრესი ფილიალს — სიეტლის თასის ფინალურ სერიას 3-0 უგებს მიახლოს „ვულვინს“ პანინოტის (ფორტუა) „ავალანში“ 6 ივნისს 8:1 გაიმარჯვა, 8 ივნისს — 3:2 და ახლა თასის მოსაპოვებლად ერთი თამაშის მოგებას ითხოვს

თამაშის არტაბოლოვო



ძალიან ცხელია პარიზში, საფრანგეთის ღია პირველობის ბოლო დღეებში. მოსიერიების სიმცირე მაინც არ შესტყობია „როლან გაროსს“, მაგრამ რად გინდა — ოთხივე ნახევარფინალი (ცალკე ვაჭებისა და ცალკე ქალების) უდიდესი გამოვიდა და ხელთა მინიმალურ რაოდენობაში ჩამთავრდა. მეორე თითქოს შერცხვით, ბურთის აქტიურობით გადავდების საჭერეტად უქმეებზე შეყრილ უსაქურებს სარაკო ხანახანა გაუმართეს ფინალისტმა ქალებმა.

ნახევარფინალი. მეტოქეებზე დღე. 6. VI

არანა სანეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 10) 6:3, 7:5. შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — კონჩიტა მარტინეზი (ესპანეთი, 3) 6:3, 6:1

ნახევარფინალში ფაშო სამი საათი გასტანა. ნოვოტნას პირველ ხელში ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და რომ გამოეყენებინა, 4:2 დანიშნულდებოდა, მაგრამ როგორც სრული, კრიტიკულ მომენტში ვერ იპოვა. ჩეხმა მეორე ხელშიც ორჯერ გააფრება ბრე-

ჩოგბურთი



შტეფი ცოტა კი მოიერდა, მაგრამ კორტზე მაინც ვერაინ სჯობს

სოჭელ კაფელნიკოს მიაჩნია, რომ მისი ზეობის დრო უკრ არ დამდგარა. ისე კი, სამპრასის მისეც გააგლო!

უფერული ნახეპარი, მებრამ სასულე ფინალი

იქი (3:1, 5:4) ანუ მეტოქეს მონოდება მოუგო, მაგრამ საფრანგეთის ორგზის (1989, 1994) ჩემპიონი არანა მებუთედ მაინც გავიდა „როლან გაროსის“ ფინალში. მარტინეზმა მარან, აქვე, ამავე ეტაპზე სამხელიანი ბრძოლა გაუმართა გრაფს, ამაჯერად კი უბრძოლველად დანებდა. პირველი ხელის დასაწყისში ზედხედ ხუთი ბრეიკი აღინუსხა, მეორე კი გრაფმა იხალა და მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე შენიშნა კიდევც, ამჟამად ჩემს კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთის ვიამაშობო.

მეორე მატჩზე დღე. 7. VI

მიხაელ შტიხი (გერმანია, 15) — მარკ როსე (შვეიცარია, 14) 6:3, 6:4, 6:2. გერმანელმა თამაშ-თამაშ გაიმარჯვა და წარმატება იმით ახსნა, გამოცდილება მომემატაო, თუმც ისიც აღიარა, მას აქეთ, რაც 1991 წელს უიმბლდონი მოიგია, აქ კი ნახევარფინალამდე მივალენი, თამაში კიდევ უფრო გაჩაგრდა, გააძლიერდა და ძლიერი მეტოქეებიც მომპოვებდნო.

უკვე კაფელნიკოვი (რუსეთი, 6) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 7:6 (7-4), 6:2. სოჭელი ჯველი პირველად გავიდა დიდი სლევის ტურნირების ფინალში და მეორე როგორ — სძლია თვით სამპრასი, ვისაც პა-


რიზში რომ გაემარჯვა, გახდებოდა მესუთე კაცი, სლევის ოთხივე შეჯიბრი თუნდც ერთხელ რომ მოგვია.

რუს დიდი ფორა ჰქონდა ნახევარფინალს იოლად უწია, სამპრასმა კი სამი ხუთხელიანი თამაში გამართა, რის შედეგადაც მეტოქეზე 5 საათით მეტი გაატარა კორტზე. პოდა, დალილობამ მაღე იჩინა თავი: პირველი ხელის თამაშშივე ამერიკელი 4-2 დანიშნულდა, მაგრამ მეორე ეტაპში ზედხედ ხუთი ქულა მოუგო.

მაყურებლებმა სამპრასის გამხევეება სცადეს, მაგრამ ამას ძალა ისე წაერთვა, რომ მეტოქეს ვეღარ გაუძლიანდა. რაც შეეხება 22 წლის რუსს, იგი რეალისტი და თავმდაბალი კაცი ჩანს — შემეხარმა ესეც უიხრია შედიას, ამოტოლა პრეს-კონფერენცია დიდი პატივია, მაგრამ ჩემი ზეობის ხანა უკრ არ დამდგარაო.

ქალთა ფინალი. ბოლოსწინა დღე. 8. VI

გრავა — სანეს-ვიკარიო 6:3, 6:7 (4-7), 10:8. შტეფი მებუთედ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი და დიდი სლევის მე-19 ტიტული მოიგო. თამაშმა 3 საათსა და 3 წუთს გასტანა. მეტოქეები ზედხედ მესამედ თამაშობდნენ პარიზულ ფინალს. ესპანელი გამარჯვებულთან



საქართველოს XXIX პირველობა

„ა“ ჯგუფი

7. VI ვაკე

დონსაო 0-71 (33) ჟონხაბი

11ლ, 8გ, მსაჯი აბაშიძე

ქუთაისი. დინამო. დატბორილი

ბელატი (0) 3-12 (3) გუპარი

გელათი — ს: 10 ქიმუცაძე, გუპარი — 4ს: 9 მ. მოდებაძე, მსაჯი კურატაშვილი

რუსთავი

აზობი (13) 25-10 (5) დელი

აზობი — 4ლ, გ. ს. ლელი — 2ლ. მსაჯი ნარიშკინი

8. VI ვაკე

მორაბს არ ვეციათ აია

თ 8 ფ 6 ლ ქ

ყორები 8 8 0 0 245: 40 35- 2 16

გუპარი 8 7 0 0 1 284: 49 43- 2 14

აია 7 5 0 0 2 210: 21 23- 2 10

ქორები 7 4 0 0 3 151: 64 18- 5 8

აზობი 8 3 1 4 88:124 12- 17 6

გელათი 8 2 1 5 73:178 6-25 5

დელი 8 1 0 7 66:205 7-30 2

დინამო 8 0 0 8 18:401 0-61 0

„ბ“ ჯგუფი

3. VI ვაკე: ყორები (13) (10) (ლ, გ, 2ს)

— ასე 11 (3) (ლ, 2ს)

ასე 4 3 0 1 58:20 7-3 6

ყორები II 4 3 0 1 73:58 9-7 6

უნივერსიტეტი 3 1 0 2 48:72 7-8 2

დელინები 3 0 0 3 20:41 2-5 0

პირველი თე უილბოდ დინეო მეორე წრეც ქუთათურებს ისევე ავტობუსი გაუფუჭდათ და თამაშზე ვერ ჩავიდნენ, „ქორები“ კი ლამისა მარჩენალის გარეშე დარჩნენ. თუ ანგარიში არ გვემლება, ქვეყნის ჩემპიონი „აია“ წელს უკვე მესამედ დააღალატა კლუბისავე ტრანსპორტმა. დანჯორულ ავტობუსს ამჯერად ზესტაფორმად ჩაუყვანია გუნდი, მეორე კი გაორჩნებულა. მიტებს ისედაც თავისი ვიზიტიან გავლთ კეების ხარჯად, ამიტომ ახალი ავტობუსის საქირავებლად ფიქრობს ვეღარ ვეღარ შევაროვებთ, რაგბის კავშირის ოფისისათვის უდებუშებით, ვაკემდე ვეღარ ჩამოვალნვეთო. დედაქალაქამდე ამ დეპუტს ისევე ჩამოსწრო ქუთათური რაგბის დესპანმა და ერთმა

რაგბი



„აიას“ მოძღვარ რამაზ სვანიძეს კარგი ავტობუსი არ აწყენდა, „ქორების“ მგეშავ თემურ ბენდიავის კი — ერთი კარგი „ბენზოკალონკა“



„აიას“ მოძღვარ რამაზ სვანიძეს კარგი ავტობუსი არ აწყენდა, „ქორების“ მგეშავ თემურ ბენდიავის კი — ერთი კარგი „ბენზოკალონკა“

ჯაბლაბი ავტობუსები და მარჩენალი «ბენზოკალონკა»

პიონერთაგანმა ნოდარ ქვიშვილმა, ამერ — იმერის შერიგების ყოველმხრივ რომ უწყისი ხელს და ხან თანამსაჯია, ხან მატჩის მთავალყურე, კიდევ უფრო ხშირად კი შენათვისა თუ საბოთების ჩამტან-ჩამომტანი. რაც შეეხება პარლამენტსა და სპორტის დეპარტამენტში გაგზავნილი ცნობის დეპუტის ერთ-ერთ თანაავტორ დუგლას კაფელნიკოსს, იგი რუსეთის რაგბის კავშირში გადასულა მსაჯია მწყემსად და ამ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩების სამსაჯოდ რუსეთის ყმადნაფიცი ქვეყნებიდან ინვესს არმიტრებს.

გუნდს ნაძალადევი ეკუთვნოდა გასამართი სადგური („ბენზოკალონკა“), მაგრამ მას აქეთ, რაც ქალაქის მერია ამჯერად მიიქცა ხელახალი აღრიცხვა ნაშინიყო, საორგანიზაციო და ტექნიკურ-ტექტიკურ პრობლემებს შეეხებულა „ქორების“ ხელმძღვანელობამ მფრთხი ვერ მოახერხა „ბენზოკალონკის“ პასპორტის აღება.

გუნდის თითქმის უცვლელი მწვრთნელი თემურ ბენდიავისი ერთობ ზეობა უტენზოკალონკოდ ძალიან გაგვიჭირდებოდა — არათუ სათამაშო აღჭურვილობას ვერ შევიძინეთ, ქუთაისშიც ვეღარ ვაველთ სათამაშოლო მწვრთნელს გამოსავალი ასე ესახება: ქალაქის მერია „ქორებისათვის“ გამოაკლისი უნდა დაეშვას და მარჩენალი ობიექტი დაუშვას, მით უფრო, რომ საბოთობათ მუშაობა კლუბს თავის დროზე დაუწყია და ახლა საქმის ბოლომდე მიყვანებულა საუბარი. აქვე დაეჭვით, რომ „ქორებს“ წელს შექმნის 32 წელი უსრულდებოთ და ქვეყნის წინა ჩემპიონებიც არიან. ერთი სიტყვით, არც მათი დაკარგვა მოუხდება ქართულ რაგბსა და საზოგადოდ სპორტს.

საქმე ვერც ამერის უსახლოვანეს კლუბს — „ქორებს“ ჰქონია უკეთ. იგი „ლოკომოტივის“ ტრადიციის აგრძელებს, მაგრამ ლამისა უთეთროდ დარჩეს. საქმე ისაა, რომ

ჯაჯა უხაბაძე



რუსეთის ძალიან გაუთხარაქონდნენ იტალიის ველოტურისტების 1994 წლის ევგენი ბერზინმა მოიგო, წელს კი უმჯობესად გაიმარჯვებდა პაველ ტონკოვი, გუმინდელი, ბოლო, XXII ეტაპის წინ თითქმის სამ წუთს რომ იგებდა.

XIX ეტაპი (6. VI) 62-კილომეტრიანი სიჩაქის გამოცედა იყო. მოელოდნენ, ესპანელი აბრამ ოლანო ახლა კი გამოიჩინეს თავისი, მაგრამ მოტუყუნდნენ გამარჯვა ბერზინმა, ლიდერის ვარდისფერი კვართი ტონკოვმა შეინარჩუნა, ოთხ ეტაპზე გამარჯვებული იტალიელი მარჩიო ჩიპოლინი კი სახსრის ანთების გამო გამოაკლდა შეჯიბრს.

XX ეტაპზე (7. VI) გაისროლა ოლანო. ფინიშიან პირველი მიიჭრა იტალიელი ენრიკო ძინია, მეორე — ასევე იტალიელი ივან გოტი, ოლანომ და იტალიელმა ჯანი ბუნიომ კი მესამე ადგილი გაიყვეს. ამის შემდეგ ლიდერი ოლანო გახდა.

ბოლოსწინა, XXI ეტაპი (8. VI, 250 კმ) გოტიმ მოიგო. ტონკოვი მეორე ადგილზე გავიდა და ჯამში ისევ დანიშნულა, მესამე ადგილი კი ლატვიელმა უგრემოვმა დაიკავა.

ამასობაში, საფრანგეთში მიმდინარე „დელინ ლიბერეს“ ტურში „ტურ-დე-ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებულმა, ესპანელმა მიგელ ინდურაინმა VI ეტაპის შემდეგ ლიდერობა წაართვა ფრანგ ლორან ვალაბერს.

ბიბო 60623

ლეგენდას წარბი გაუსკდა

პარაკვე წამულადმევეს დიდი ჩხუბი იყო ლეგენდას „სიბორო-პალას-პოტენის“ ავტობუსებზე გამართულ არენზე. 16 ათასი ქოჩიკი დაესწრო კრივის მსოფლიო საბჭოს (36) ვერსიით „ლით-ველთერ“ წონის საწვრთნო შერკინებას. ლეგენდარული ჩემპიონი, 33 წლის მექსიკელი ხულიო სესარ შავესი ერკინებოდა 23 წლის ამერიკელ ოსკარ დელაპოიას. შავესი იმ ღამით მე-100-ედ ჩხუბობდა (34-ედ ჩემპიონობისათვის) და ერთადერთხელ წაგო, დელაპოია კი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი და პროფესიულ რანგზე გამართული 21-ვე შერკინება მოუგია (19 ნოკაუტით).

ანონგამ მშვიდობიანად ჩაიარა. ლიბიში — 10 სთონში (63,5 კგ) ორივე კარგად ჩაიგო. ფავორიტად დელაპოია მიჩნეოდა, რადგანაც შავესი უფრო სამუხუზრო ექსპონატია, ვიდრე ცოცხალი მოკრივე.

მათლაც, ამერიკელმა თავიდანვე შეუტია და მეტოქეს უკან-უკან დაახვეინა. 90-ე წამზე შავესს მარცხენა წარბი გაუსკდა და სულ მთლად ნახდა.

და მინც, მეოთხე რაუნდში შავესმა ორი მარცხენა უკეი უთავაზა მეტოქეს. ამის პასუხად დელაპოიამ რვა დარტყმანი იერიში განახორციელა. საქმეში სასწრაფოდ ჩაერია ექიმი და რეფერის ბრძოლა შეწყვეტინა.

დელაპოიამ ჩემპიონის მესამე ტიტული მოიპოვა და პირობარად 8 მილიონი დოლარად მიიღო. შავესს გასამარჯვლოდ მეტი — 9 მილიონი მისცეს. დამარცხებულმა, ვისაც შერკინების დაწყებამდე თვით მაიკ ტისონმა მიაკითხა გასახდელი, მარცხი წარბის გასკდომას დააბლოდა. ამაზე დელაპოიამ სარკასტულად მოუგო, როცა კი გუნებმა, ხელახლა შეგერკინებო.

პალარი ჯიძია

სარკიელი სპორტული გაზეთი გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი ზურაბ შიშკვალია რედაქტორი თამაზ შიშკვალია

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი პახტაზან ბუჩიკაძე ზაალ ბიბინიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე) მამუკა კვარაცხელია მირაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი შინგო მაროშხაღლიძე

გამომცემელი ზურაბ შიშკვალია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“ რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებსა და სხვა საფოსტო გზავნილებსთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

